პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2026 წლის __ აგვისტო

ქ. წყალტუბო

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N138 (გ-49.492536011) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-482623797; 25/08/2026) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა შემცირდა 6 ერთეულით და ნაცვლად 24-სა, შეადგენს 18 ერთეულს. შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოსგან ითხოვს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის 29–ე მუხლის მე–3 და მე–4 პუნქტების, „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 25–ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N138 (გ-49.492536011) განკარგულებაში და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებულ იქნეს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში - 2 დამლაგებლის, 2 კომისიებში მოწვეული სპეციალისტისა და 1 საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწის, ხოლო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში – 5 დამლაგებლის, 1 კომპიუტერული სისტემის და ქსელების სპეციალისტის, 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის, 4 კონსულტანტის, 1 მერის მდივნისა და 1 დამხმარე სპეციალისტის მატერიალურ-ტექნიკურ საკითხებში".

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
განყოფილების უფროსი — მაია ბერაძე
კომისიის თავმჯდომარე — ნიკა მჟავია

საქართველო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482623797**
თარიღი: **25/08/2026**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გიგზავნით „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 24 ივნისის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტს.

დადგენილებაში ცვლილების შეტანის საფუძველია „Smart4Rural“ პროექტის ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ 6 პირთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების მოქმედების ვადის დასრულება. აღნიშნული ცვლილება შეეხება შემდეგ საშტატო ერთეულებს:

- კოორდინატორი – 1 ერთეული;
- კოორდინატორის ასისტენტი – 1 ერთეული;
- ფინანსური მენეჯერი – 1 ერთეული;
- პიარ-მენეჯერი – 1 ერთეული;
- ტექნიკური მენეჯერი – 1 ერთეული;
- ტექნიკური მენეჯერის ასისტენტი – 1 ერთეული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაუქმდება აღნიშნული 6 საშტატო ერთეული, ხოლო შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები შეწყდება მათი მოქმედების ვადის ამოწურვის გამო, რის შედეგადაც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა 24 ერთეულიდან 18 ერთეულამდე შემცირდება.

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

გთხოვთ, განიხილოთ აღნიშნული დადგენილების პროექტი და შესაბამისი ცვლილება შეიტანოთ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №138 (გ-49.492536011) განკარგულებაში.

დანართი: 8 (რვა) ფურცელი.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge